პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 202 (3179)

16 ოქტომბერი, 1966 წ.

კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

კვლა კვ უკლიერესნი

ოგერკაუზენი, 14 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა III მსოფლიო ოლიმპიადის ბოლო ტურის — უკვე გამოკვლეული ჩემპიონობა. ინგლისელ ბრიუსთან გადადებული პარტიის დამთავრებისას ზატულოვსკაიამ ყაიმს მიაღწია. ამრიგად, ანგარიში გახდა 1,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ჩვენებმა 21 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილზე მყოფ რუმინელებს 18,5 ქულა აქვთ.

• • •

ოგერკაუზენი, 15 ოქტომბერი. დღეს აქ შედგა ოლიმპიადის ბოლო, XIII ტური. საბჭოთა გუნდი შეხვდა გდრ-ის მოჭადრაკეებს. პირველ დაფაზე გაფრინდაშვილისა და კელერ-გერმანის პარტიაში მწვავე ბრძოლის შემდეგ საყაიმო პოზიცია შეიქმნა. შეხვედრა ასეც დამთავრდა. სსრ კავშირის ჩემპიონი კოზლოვსკაია შავებით ეთამაშებოდა იუსტს. პარტია გადაიდო კოზლოვსკაიას უპირატესობით. სსრ კავშირის ნაკრებს ჯერჯერობით 21,5 ქულა აქვს.

საბჭოთა გუნდმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და ჩვენი პლანეტის ექა-ჩემპიონის ვერა მენჩიკის სახელობის თასი.

II ადგილზე გავიდნენ რუმინელები — 20,5 ქულა. XIII ტურში მათ დაამარცხეს გფრ-ის გუნდი — 2:0. III ადგილს ერთმანეთს ეცილებიან გდრ-ისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალები.

სპორტის სახეთა

◆ ბერლინი, 15 ოქტომბერი. აქაური „დინამოშპორტპალეს“ დარბაზში, რომელიც 3.500 მაყურებელს იტევს, დღეს დაიწყო მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა ჩემპიონატი. ასპარეზობა გახსნეს მჭატე წონის ათლეტებმა. შესანიშნავად გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი ა. ვახონინი (სსრ კავშირი). მან სამჭიდში 362,5 კილოგრამი დააგროვა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭა. II ადგილზე გავიდა ი. ფიოლდი (უნგრეთი) — 360 კგ. III ადგილზე გაუსმა ირანელმა მ. ნასირიმ მსოფლიოს 2 რეკორდი დააყარა: აჭიმა 118 კგ და აკრა 142,5 კგ.

◆ ვროცლავი, 15 ოქტომბერი. პოლონეთის არმია დღისადმი მიძღვნილ აპერთაშორისო შეჯიბრებაში ბუქარესტის არმიელ კალათბურთელთა გუნდმა — ცსკა-მ პირველობა გაიანადგა. გადამწყვეტ მატჩში მან დიმატებით დროში გასტეხა სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-ს წინააღმდეგობა და გაიმარჯვა — 82:77. ძირითადი დროფრედ დამთავრდა — 64:64. არც დამატებით პირველ ხუთ წუთს მოჰყოლია რომელიმეს უპირატესობა — 76:76. საბჭოთა კალათბურთელები, რომლებმაც ვროცლავის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხეს (80:34), ახლა II ადგილისთვის იბრძოლებენ.

◆ ლიუბლიანა, 15 ოქტომბერი. აქ გაიხსნა ევროპის კალათბურთელთა II ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ ე. წ. ევროპის ნაკრები, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — მილანის „სიმენტალი“ და იუგოსლავიური კლუბები „ზადარი“ და „ოლიმპია“. პირველ თამაშში „სიმენტალმა“ მოუგო ევროპის ნაკრებს — 91:89 (42:48).

საუბზე დაკლეს... ფქალი

საუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

როგორც ცნობილია, სექტემბრის ბოლოს კიევში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ბ. პოლულიახიც გამოდიოდა. მთლიანი გუნდით იყო წარმოდგენილი „განთიადი“. ამას გარდა, ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე სპორტსმენი პირად ჩათვლაშიც ასპარეზობდა. ასე რომ, ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. უნდა დავსძინოთ, რომ ყველა ჩვენმა სპორტსმენმა შეჯიბრება დაბალი შედეგებით დაამთავრა. აქ შორს წაგვიყვანს წარუმატებლობის მიზეზთა ძიება. ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს სპორტსმენთა ამ მარცხს დროით უნდა გამოეფხიზლებინა რესპუბლიკის მწვრთნელთა საბჭო და დღემდე სათანადო ზომებიც უნდა მიეღოთ. მით უმეტეს, რომ 22-23 ოქტომბერს ჩვენებმა საქართველოს ღირსება სსრ კავშირის თასის გათამაშებაში უნდა დაიცვან. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ არ ჰქონდათ ვარჯიშის საშუალება. თანაც, 11-12 ოქტომბერს საქართველოს თასის გათამაშებაც ტარდებოდა.

... დღესდღეობით თბილისში 3 აუზია, სადაც წყალში ხტომაში შეჯიბრების გამართვა შეიძლება. მაგრამ: 1. „განთიადის“ ღია აუზი (ორთაჭალაში) ჯერჯერობით არ თბება და, ამდენად, სავარჯიშოდ გამოუსადეგარია; 2. ზამთრის აუზს (ვაკეში) არემონტებდნენ. მხოლოდ კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ღია აუზი თუ გამოდგებოდა ნაკრების საწვრთნელად. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს თასის გათამაშების წინ საკმაოდ რთული მდგომარეობა შეიქმნა. ფაქტიურად, შეჯიბრების გასამართავი ადგილი არ იყო. წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ფედერაცია იძულებული იყო, ჯერ ერთი, ასპარეზობის დებულებით გათვალისწინებული რაოდენობა მონაწილეებისა შეემცირებინა და, მეორე, შეჯიბრება ორი დღის მაგიერ ერთ დღეში ჩაეტარებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაკის აუზის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა, აუზში არ კმაროდა... წყალი. შეჯიბრების პირველ დღეს, საღამოს, წყლის დონეს კიდევ 50-60 სმ დააკლდა და მოასპარეზეებმა მხოლოდ საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარება შეძლეს. ცხადია, ამას შედეგიც შესაბამისი მოჰყვა.

სპეციალისტთა უმრავლესობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გამარჯვებას 16 წლის რ. არუთინოვს („შრომითი რეზერვები“) უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ყველას დინამოელმა ვ. ტოჩენიხმა აჯობა. დინამოელი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა ქალთა შეჯიბრებაც კოშკიდან ხტომაში. აქ ტოლი არ ჰყავდა ოსტატობის კანდიდატ ნ. სმირნოვას, რომელმაც ჩამოიტოვა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. კალიაგინა („განთიადი“).

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველობა არავის დაუთმეს ა. კალიაგინამ და სპორტის ოსტატმა ი. კუპრიანოვმა (ასკ).

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება დინამოელებს ხვდათ — 70 ქულა. II ადგილზეა „განთიადი“ — 66, III — „შრომითი რეზერვები“ — 60. სხვათა შორის, IV ადგილი არც გათამაშებულა: სხვა სპორტსზოგადოებებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა ასპარეზობაში. არც „ბურევესტნიკისა“ და თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის წყალში მხტომელები გამოსულან, თუმცა მათ შორის ბევრია საკმაოდ კვალიფიციური ათლეტი.

გუშინწინ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ჩავიდა სარატოვს, სადაც ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას გამართავს. გაგახსენებთ, რომ გუნდში, რომელმაც შარშან სსრ კავშირის თასის პირველ გათამაშებაში III ადგილი დაიკავა, იყვნენ საქართველოს 1965 წლის ჩემპიონები ა. კალიაგინა, ბ. პოლულიახი და სპორტის ოსტატი ბ. პლევაკო. წლეულს შარშანდელი შედეგის გამეორება გაჭირდება. თუმცა, თავის დროზე რომ გვეზრუნა, ხუთეულში მოხვედრა მაინც შეიძლებოდა. სარატოვში ჩვენი გუნდი უპოლულიახოდ გამოვა (პოლულიახი კიევში დაშავდა და ჯერ სავსებით არ განკურნებულა). რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ კალიაგინა, სმირნოვა, ტოჩენიხი და კუპრიანოვი.

დარწმუნებული ვართ, სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდეგ წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ფედერაცია შეაჯამებს წლევანდელ შეჯიბრებათა შედეგებს და კონკრეტულ ღონისძიებებს დასახავს მდგომარეობის გამოსწორებისათვის: სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა ხომ აღარც ისე შორსაა!

ვ. ინწკირველი.

თასის ფინალი — 27 ოქტომბერს

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) ჩატარდეს 27 ოქტომბერს, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, ლუჟნიკში.

ამ გადაწყვეტილებამ ზოგიერთი ცვლილება გამოიწვია საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში.

კუბოსკენ...

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში სათამაშოდ ხვალ კუბას მიემგზავრება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ლ. შტეინი, ვ. კორჩნოი, ლ. პოლუგაევსკი.

იალბუზი დანებდა მამაცებს

ნალჩიკი, 14 ოქტომბერი. ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა იალბუზის უჩვეულო იერიში. ზღვის დონიდან თითქმის 5-კილომეტრიან სიმაღლეზე — „მწყემსთა თავშესაფართან“ მექანიკოსმა-მძღოლმა ხ. ბეკაევმა 20-ტონიანი მუხლუხა საწევარი აიყვანა.

ეს ექსპედიცია მოაწყო იალბუზთან არსებულმა დასვენების, ტურიზმისა და ალპინიზმის საკავშირო ბაზის დირექციამ. მისი მიზანი იყო შეესწავლათ მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიანი საბაგირო – სამგზავრო გზის — „თერთმეტის თავშესაფრის“ ბოლო სადგურის სამშენებლო ძოედანზე ტვირთის იაფად ატანის შესაძლებლობა.

იერიშში მონაწილეობდნენ იალბუზის სამაშველო სამსახურის უფროსი მ. იბრაჰიმოვი და მთამსვლელები. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ხ. ზალიხანოვი.

1



2



3

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ალვირაბსნილი მამა-შვილი

სოფელი ნაგვაზაო ერთ-ერთი მოწინავეა გეგეჭკორის რაიონში. აქაური გლეხობა კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს. კოლმეურნეთა ბავშვებისთვის სოფელში ორი სკოლაა: ერთი საშუალო და ერთიც რვაწლიანი. ამ სასწავლებლებში ჭეროვანი ყურადღება ექცევა ბავშვთა ფიზიკური აღზრდასაც. სოფლის საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის გამგეობა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში. აქ ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის. სხვა საქმეთა შორის, გადაწყდა გაგვეფართოებინა რვაწლიანი სკოლის სპორტული მოედანი. ამ საქმის ხელმძღვანელობა დამევალა მე — ამ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს და კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციას. მუშაობა დავიწყეთ, სპორტული მოედანი შემოვღობეთ, მოედანზე იარაღები განვალაგეთ და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, კოლმეურნე ახალგაზრდობასთან და მოსწავლეებთან მეცადინეობა ერთხელაც არ ჩაგვიტარებია.

არ იკითხავთ რატომ?

ვიდრე ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, ერთი ფაქტი უნდა მოგახსენოთ. ჩვენ სკოლაში ორი ფიზაღზრდის მასწავლებელი ვმუშაობთ. ჩემი კოლეგა ქალბატონი ნ. ბ. ჩემზე ბევრად გამოცდილი პედაგოგია. ის ამ სკოლაში ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა, როცა მე ბავშვი ვიყავი. ამიტომ ჩემი ნაკლოვანებების შესახებ ბევრ რამეს ვერ მეტყვით. ისიც ვიცი, რომ ნ. ბ. ჩემზე ბევრად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სპორტული მოედნის მოწყობას. ეს ფაქტი ჩემთვის ნამდვილად სასიამოვნო არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ეს ჩემი ბრალი არ არის.

ასე რომ, ჩვენ ორივე ერთნაირად ვიყავით პასუხისმგებელი სპორტული მოედნის მოწყობაზე. ამიტომ ამ საკითხის განხილვა ორივეს ერთნაირად გვეხება.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება არსენ და ბოჩია ფირცხალავებისთვის არ არსებობს?!

აი, მიზეზიც: წლეულს, 4 აპრილს, ამავე სოფლის მცხოვრებმა არსენ ფირცხალავამ და მისმა ვაჟმა ბოჩიამ სპორტულ მოედანს ღობე მოუშალეს, ბოძები ნაჯახით დაჭრეს, მოედნის თითქმის ნახევარი გადახნეს და... სიმინდი დათესეს.

ამ თავხედობამ ყველა შეაძრწუნა. მაშინვე დავიწყეთ საკითხი თავხედი მამაშვილისთვის საკადრისი მიეზღოთ. ფირცხალავების უმსგავსო საქციელი განიხილეს სოფლის საბჭოს აღმასკომმა, სკოლის დირექციამ, კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ. ფირცხალავებს წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ მათ მიერ მიტაცებული სასკოლო-საკოლმეურნეო სპორტული მოედნის ნაწილი. მაგრამ აღვირახსნილი მამა-შვილი არც რაიონულ ხელმძღვანელობას დაემორჩილა.

აგერ მერვე თვეა, რაც ეს აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა და ისინი კვლავ თვითნებურად პარპაშობენ.

საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასე?

ა. კვანტალიანი,
სოფელ ნაგვაზაოს რვაწლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფრთებს ასხამს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში

ამ ბოლო ხანს პარტიის რაიონული კომიტეტები დიდ ყურადღებას იჩენენ ადგილზე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისადმი. ამ მნიშვნელოვან სფეროსთან დაკავშირებული საკითხები იხილება პლენუმებზე და ბიუროს სხდომებზე, ისახება კონკრეტული ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ახალ მოთხოვნათა შესაფერის დონეზე დაყენებისათვის. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი ბოლო პლენუმები საქართველოს კპ ზესტაფონისა და ცხაკაიას რაიკომებმა.

ზესტაფონის პარტრაიკომის პლენუმზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს რაიონში განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივების მატერიალური ბაზა, უფრო ხშირად ეწყობა შეჯიბრებანი სხვადასხვა სახეობაში. პლენუმზე აღინიშნა, რომ ფიზკულტურულ მუშაობაში ჯერ კიდევ შეხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს: სათანადო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმას ფიზკულტურულ საქმიანობაში, ბევრ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყვია ნაკვეთი სპორტმოედნების მოსაწყობად და ა. შ.

ყოველივე ამის შესახებ მასალა გადმოგვცა ჩვენმა ზესტაფონელმა კორესპონდენტმა ა. განუგრავამ.

„ლელოს“ ცხაკაიელი კორესპონდენტი ე. გუგუნავა გვწერს, რომ საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი „რაიონის პარტორგანიზაციის ამოცანები მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი მ. ქვარცხავა. პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის 89 ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 10.000-მდე ფიზკულტურელი, თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების წლეულდელი გეგმა უკვე შესრულებულია 90 პროცენტით. რაიონში ამჟამად მიმდინარე სპარტაკიადაში მონაწილეობს 6000 კაცი: ასე ფართოდ ცხაკაიაში სპარტაკიადა ჯერ არ ჩატარებულა.

აღინიშნა ნაკლიც. მაგალითად, სოფელი არ დაადგა თქვლათის, ახალსოფლის, ზემო ჭალადიდის, ნაჭალაქევის, ლეძაძამეს კოლმეურნეობებსა და ცხაკაიას მექანიკურ ქარხანაში ფიზკულტურელი მოედნების მოწყობას.

პლენუმის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ა. გვასალიას (ხორგის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ თავმჯდომარე), ბ. შეროზიას (უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი), კ. შარტავას (განათლების განყოფილების გამგე), ა. კურდღელიას (ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), შ. ჩიქობავას (რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე), ე. ადამიას (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი) და ა. მილორავას (ნოსირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე) სიტყვები.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ცხაკაიას რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ.

აღნიშნულ პლენუმებზე მიღებულ იქნა შინაარსიანი, საქმიანი დადგენილებები.

• • •

„ლელოს“ კორესპონდენტი ი. თოფურია აბაშიდან გვატყობინებს, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მუშაობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ მის მუშაობაში ბევრი ნაკლია, რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გ. კაჭარავა სუსტად ხელმძღვანელობს ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას და სხვ.

ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის მიზნით ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება.

სპორტულ მოედნებზე — მეცნიერები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების III სპარტაკიადის პროგრამით უკვე მეოთხე სახეობაში — ცურვაში დამთავრდა ასპარეზობა. შეჯიბრების სტარტზე გამოვიდნენ 6 სხვადასხვა ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბას სპორტსმენები. ქალები ასპარეზობდნენ 25 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო ვაჟები — 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ქალებში ყველას აჯობა ზოოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნ. რაზმაძემ—26,0 წამი. II-III ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ ლ. კაკაბაძეს (გამოთვლითი ცენტრი) და ი. ჩხაიძეს (არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი).

ვაჟებში უძლიერესი იყო ი. ჯანაშვილი (ზოოლოგიის ინსტიტუტი) — 31,9. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის წარმომადგენელი ა. ფანქველაშვილი II ადგილზე გავიდა, ხოლო III იყო ა. ნადირაშვილი (კიბერნეტიკის ინსტიტუტი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კიბერნეტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა გამოთვლითი ცენტრის გუნდი, ხოლო III — ზოოლოგიის ინსტიტუტის ნაკრები.

მეცნიერთა სპარტაკიადის პროგრამის ოთხ სახეობაში (მძლეოსნობა, სროლა, ტურიზმი და ცურვა) ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი. II ადგილზე არიან აკადემიის სტამბის სპორტსმენები, III — კიბერნეტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ჯ. ენდელაძე.

„ლოკომოტივი“ ფინიშზე

დამთავრდა ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს II სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ბოლო შეხვედრები გაიმართა ფრენბურთსა და ჭადრაკში, რის შემდეგ საერთო გუნდური მაჩვენებლებიც შეჯამდა.

ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში თბილისელებმა დაამარცხეს აზერბაიჯანის (3:2), ერევნის (3:1), სამტრედიის (3:1) და ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის (3:1) გუნდები და ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილი წილად ხვდა აზერბაიჯანის რაისაბჭოს კოლექტივს, რომელმაც „მშრალად“ მოუგო ერევნელებს (3:0), ხოლო სამტრედიისა და ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის გუნდები ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხა. III ადგილზეა სამტრედიის გუნდი, რომელმაც 2. შეხვედრა მოიგო (ერევანთან — 3:0 და ტრანსპორტმშენთან — 3:1).

ქალთა ტურნირში გაიმარჯვა აზერბაიჯანის კოლექტივმა. II ადგილზეა თბილისის, ხოლო III — სამტრედიის გუნდი.

მოჭადრაკეთა ტურნირში მასპინძლები — თბილისელი სპორტსმენები სუსტად გამოვიდნენ: ისინი მხოლოდ III ადგილით დაკმაყოფილდნენ. ყველას აჯობა ერევნელთა კოლექტივმა. II იყო აზერბაიჯანის გუნდი.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისის რაისაბჭოს ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან აზერბაიჯანისა და სამტრედიის გუნდები.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ვეწვიეთ მთავარ მსჯას, საკავშირო კატეგორიის მსჯეს ა. გოორგობიანს და ვთხოვეთ მოეთხრო ტურნირის მსვლელობისა და შედეგების შესახებ. მან გვითხრა, რომ წინა სპარტაკიადასთან შედარებით მძლეოსნობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში შედეგები ამაღლდა. სამაგიეროდ, უარესად გამოიყურებოდნენ მოჭადრაკენი, ფრენბურთელები და ძალოსნები. გავიგრძებას იწვევს ისიც, რომ სპარტაკიადისთვის სუსტად მოემზადნენ ერევნის რაისაბჭოსა და ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის გუნდები, რომლებმაც ტურნირის ყველა სახეობაშიც კი ვერ მიიღეს მონაწილეობა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ მშრომელთა შორის ფიზკულტურული საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენების აუცილებლობას.

ო. ივდოშვილი.

ჯილდოები ღირსეულთ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტულ მედიცინაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის ცენტრალური საბჭოს სიგელით დაჯილდოვდნენ: საქართველოს საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი კ. არობელიძე, საქართველოს სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. წითლანაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი რ. ხვანშვილი და თბილისის საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი ზ. თელია.

გაგრელ მეთევზეებთან

ახალი ამოცანების წინ

გაგრის თევზის ქარხნის პროდუქციას მარტო აფხაზეთში როდი ჰყავს მუშტარი. გაგრელთა ნახელავი აფხაზეთის ფარგლებს გარეთაც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. ზეთიანი სარდინი, ტომატიანი სტავრიდულა, ტომატიანი სარდინი... აი, ქარხნის სანაქებო პროდუქციის არასრული ნუსხა.

საწარმოში ერთ-ერთი მოწინავეა საკონსერვო საამქრო, რომელიც ყოველთვიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებს. აქ განა მარტო ქალები შრომობენ, — მუშა-მოსამსახურეებმა დასვენებაც კარგი იციან! მუშები გატაცებული არიან ფრენბურთით, ცურვით, სპორტის სხვა სახეობებით. ეს შემთხვევითი როდია: საამქროს ოსტატად ხომ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი მელორ ფარულავა მუშაობს. მელორი აფხაზეთში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ერთ-ერთი უძლიერესია. თავის დროზე მან „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობაც კი მოიპოვა. 1963 წელს მ. ფარულავამ მოსკოვის თევზის მრეწველობის ინსტიტუტი დაამთავრა და მას შემდეგ გაგრის თევზის ქარხანაში მუშაობს.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ჩვენც დიდი ამოცანები დაგვისახა. ახლებურად უნდა დავაყენოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მშობლიურ საწარმოში. ქარხნის დირექტორ კ. აბშილავასთან, პარტორგანიზაციის მდივან ა. მახარაძესთან და მთავარ ინჟინერ ს. ფანიაშვილთან ერთად დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები საწარმოში ფიზკულტურული მუშაობის გამოცოცხლების მიზნით. უახლოეს დღეებში მტკიცედ დავიწერგავთ საწარმოო ტანვარჯიშს, შევქმნით ფეხბურთის, ფრენბურთისა და მძლეოსნობის სექციებს. თუ მსურველები აღმოჩნდებიან, ჭიდაობის სექციასაც ჩამოვაყალიბებთ. ამ სექციას თავად მე ვუხელმძღვანელებ, — გვეუბნება მ. ფარულავა.

ახლა ქარხნის ფიზკულტურელთა მთავარი საზრუნავია თავიანთი მომავალი სპარტაკიადის წესიერად ჩატარება.

მ. შლაენი.

(ჩვენი სპეც. კორ.).
გაგრა.

• • •

სურათზე: მ. ფარულავა თვალყურს ადევნებს თინათინ ინათაშვილის საქმიანობას.

ფოტო
მ. სვეტლანოვისა.

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

მოსკოვში

„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“
1 : 0

ქერჩინსკში

„დინამო“ (მინსკი) — „არარატი“
0 : 2

ომსკში

„დინამო“ (მოსკოვი) — „კაირატი“
0 : 0

„ა“ კლასის I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	29	19	9	1	57—12	47
ცსკა	28	15	7	6	55—36	37
„ტორპედო“ (მოსკოვი)	29	14	8	7	46—28	36
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	29	14	7	8	46—23	35
ასკ (როსტოვი)	29	15	5	9	44—40	35
„დინამო“ (თბილისი)	29	11	10	8	37—26	32
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	26	12	8	6	36—30	32
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	28	8	15	5	26—24	31
„დინამო“ (მოსკოვი)	30	10	10	10	37—31	30
„დინამო“ (მინსკი)	30	10	10	10	32—34	30
„კაირატი“ (ალმა-ათა)	29	10	10	9	24—27	30
„შახტიორი“ (დონეცკი)	28	12	5	11	27—30	29
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	31	10	7	14	32—46	27
„არარატი“ (ერევანი)	30	8	10	12	22—41	26
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	30	7	11	12	24—38	25
„ტორპედო“ (ქუთაისი)	29	7	6	16	34—52	20
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	30	3	14	13	17—37	20
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29	7	4	18	24—42	18
ასკ (ოდესა)	29	1	10	18	13—43	12

„ბ“ ჯგუფის IVზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	37	22	9	6	80—36	53
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	38	21	8	9	56—33	50
„მეშახტე“ (ტყიბული)	37	18	10	9	63—34	46
„მეტალურგი“ (რუსთავი)	37	18	7	12	62—38	43
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	36	16	10	10	33—24	42
„მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.)	37	14	13	10	48—34	41
„სპარტაკი“ (კისლოვოდსკი)	37	16	9	12	36—33	41
„ლოკომოტივი“ (კოროვაკანი)	38	14	12	12	37—38	40
„ალაზანი“ (გურჯაანი)	37	16	6	15	45—43	38
„უროჟაი“ (მაიკოპი)	37	15	7	15	55—38	37
„უროჟაი“ (კრიმსკი)	37	16	5	16	47—51	37
„დილა“ (გორი)	37	14	9	14	33—38	37
„დინამო“ (ხობუმი)	37	13	10	14	45—43	36
„კოლხიდა“ (ფოთი)	37	11	14	12	42—41	36
„ენგური“ (ზუგდიდი)	37	14	7	16	46—46	35
„დინამო“ (მახაჩყალა)	37	9	15	13	39—49	33
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	38	10	8	20	45—65	28
„არაქსი“ (ერევანი)	38	10	7	21	31—57	27
„ურალანი“ (ელისტა)	37	6	10	21	27—80	22
„უროჟაი“ (დერბენტი)	36	7	6	23	36—84	20

მხოლოდ მეორე დღეს

მილიონთა თასი გათამაშებულია

დნეპროპეტროვსკი, 15 ოქტომბერი. ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გადამწყვეტ მატჩში გუშინწინ ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები: ლვოვის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის გუნდი და ტაშკენტის „ზვეზდა“. 120-წუთიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა: თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

მილიონთა თასის დებულების თანახმად, ეს გუნდები გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად მატჩმა შედეგი გამოიღო: ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ლვოველებმა, რომლებმაც მოიპოვეს თასი.

შეჯიბრებაში III საპრიზო ადგილი დაიკავა ჟურნალ „სმენას“ პრიზი დაისაკუთრა ლენინგრადის „კომსომოლეცმა“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა პოლტავის „სპარტაკი“ — 2:1. უკრაინელ ფეხბურთელებს გადაეცათ ჟურნალ „სპორტივნაია იგრის“ პრიზი.

უანგარო მზრუნველი

ცნობილი მეცნიერისა და სპორტსმენის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ფასდაუდები მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ქართული სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა წარმოადგენდა. მან ბევრი რამ გააკეთა კიდეც ამ მხრივ და მყარი საძირკველი ჩაუყარა დიდ ეროვნულ საქმეს.

გ. ნიკოლაძეს ანბანურ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ სპორტს ადრეულ ასაკშივე უნდა ეშიარო. სწორედ ისევე, როგორც ნედლი რტო უფრო დამყოლია, უკეთესია ჯალათის საწნავად.

სპორტი და ფიზიკური აღზრდა ფართო მასისთვის რევოლუციის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი. უპირველესად საჭირო იყო სკოლებისთვის მიეხედნათ. გ. ნიკოლაძის თაოსნობით, გიორგი ეგნატაშვილმა ფიზიკური აღზრდის მთავარ ინსპექტორად დაიწყო მუშაობა განათლების სახალხო კომისარიატში. ამ ორი გიორგის დიდი ღვაწლი ამ პერიოდში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის უკეთ წარმართვისთვის საყოველთაოდ ცნობილია.

სკოლამდელთა აღზრდის განყოფილების უფროსად იმ დროს მუშაობდა ელენე მერაბის ასული წულუკიძე, ცნობილი რევოლუციონერის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის მეუღლე.

ამ ფრიად განათლებულ ადამიანს კარგად ესმოდა, რომ ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ფიზიკური წრთობა წარმოადგენს და გ. ეგნატაშვილს დავალა „თქვენს ნათლობის ჯამში გაახვიეთ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელნი“. გ. ეგნატაშვილი შეუდარებელი ნათლია იყო. მან ელენე წულუკიძის დახმარებით მოკლევადიანი კურსები გახსნა და გულმოდგინე მუშაობამ მალე გამოიღო კიდეც ნაყოფი. საბავშვო ბაღებში ფიზიკური აღზრდა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. მოედნებზე აღიმართა პატარა ბორცვები (ასარბენ-ჩამოსარბენი), პაწია შვეულკიბეები, სხვადასხვა დახრის დვირები, სახტომი ორმოები და სხვ. ეგნატაშვილს ბავშვებთან მუშაობისას უცნაური აღლო ჰქონდა და ყოველი მეცადინეობა გამიზნულ საჩვენებელ გაკვეთილად იყო მიჩნეული. თვით ე. წულუკიძე ეგნატაშვილის უნარიანი და მონდომებული მუშაობის ტყვედ იქცა. გულით ხარობდა ამ კეთილი საქმით.

ე. წულუკიძის მონდომებით მოხერხდა ისიც, რომ 1923 წლის ზაფხულში თბილისის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა კოჯრის საუკეთესო ნაგებობები დაეთმოთ. განათლების სახალხო კომისარიატმა დიდი ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინა პატარებისადმი. საუცხოო სანახავი იყო საძინებელი ოთახები, სადილო თუ სხვადასხვა დანიშნულების (მუსიკა-თამაშობანი) დარბაზი. ხელმძღვანელნი თავს ევლებოდნენ ნორჩებს. ყოველივე ამ სიკეთის მთესველი ელენე წულუკიძე იყო. მთელი დღე არა წყდებოდა ამ ადამიანის ფუსფუსი.

ე. წულუკიძე

ე. წულუკიძისა და გ. ეგნატაშვილის თაოსნობით ყველა საბავშვო სახლში დაინიშნა ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ეგნატაშვილი ყოველდღე ფეხით ადიოდა კოჯორში. აქ თვითონაც ბეჯითად ვარჯიშობდა, ჩვენც გვიყოლიებდა, ყოველ დილით თეორიულ მეცადინეობას ატარებდა,—კარგად ხედავდა, რომ ამ საქმეში საკმაოდ მოვიკოჭლებდით. არც თვითონ ისვენებდა. ჩვენც მკაცრად გვექცეოდა. რაღას ვიზამდით? ეგნატაშვილი გვიხსნიდა, რომ ნორჩ აღსაზრდელებთან მეცადინეობას თამაშის სახე უნდა მიეცეს, რომ საბავშვო იარაღებზე, თავისუფალი, თუ სხვა სახის ვარჯიშები საიმიტაციო ხასიათს მოითხოვს.

— გიგა! ხვალისთვის ვარჯიშები შეიმუშავე, ტანვარჯიშული დილა უნდა ჩატარდესო, — უთხრა ერთხელ ბერიძეს ეგნატაშვილმა.

ეს ვარჯიშები ჯერ ჩვენ შევისწავლეთ, მერე ბავშვებიც დავაწაფეთ.

თვით განათლების კომისარი, მისი შემწე და განყოფილებათა მესვეურნი თავს დასტრიალებდნენ ნორჩებს, ყოველ საღამოს კოჯორში ამოდიოდნენ. კოჯორს „საბავშვო ქალაქი“ დაერქვა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პირობებში ეს პირველი არტეკი იყო...

კოჯორის განაპირას, ერთ ფერდობზე, რომელიც ჭოროღლის ციხე-კოშკს გადაჰყურებს, მოედანი მოვასუფთავეთ. ეგნატაშვილმაც მოიმარჯვა თოხი და ნიჩაბი. ასე სჩვეოდა, პირადი მაგალითით იცოდა საქმეში ჩვენი ჩაბმა.

აი, სამი სახის თავისუფალი ვარჯიში შევასწავლეთ ბავშვებს, ცხადია, მათი ასაკის შესაბამისად. სამი საერთო რეპეტიცია ჩატარდა სასულე მუსიკის თანხლებით. იმ დღეებში მთელი კოჯორი აიღეს ჩვენმა მერცხლებმა!

დადგა ზეიმის დღე. ასპარეზი ცეროდენებისა იყო, მათი „თათუებით“ უნდა წარმართულიყო ტანვარჯიშული დილა. დილაადრიან ბავშვები საგანგებოდ ამ დღისთვის დამზადებულ სპორტტანსაცმელში გამოეწყვნენ და ისე გაემართნენ სპორტული სარბიელისკენ.



გუშინ ბერლინში დაიწყო მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ძალოსნობაში.

სურათზე: ლ. უაბოტინსკი, რომელიც მძიმე წონის ათლეტთა შორის ფავორიტად ითვლება.

საკადრის ფოტოქრონიკა.

წარსულის ფურცლები

ე. წულუკიძე

ხმაშეწყობილნი მოიმღეროდნენ კომპოზიტორ ალე ფარცხალაძის სიმღერას.

აი, ერთ ადგილას შეიკრა კარგა მოზრდილი ლაშქარი ჩვენი ვარდ-ყვავილებისა. ძახილზე დაიძრა დიდი მდინარე. ალმებითა და სავარჯიშო ჯოხებით მრავალფერ ჯოცხალ ტყეს ქმნიდნენ. დაუვიწყარი სანახავი იყო, ახლაც სიამოვნებასა მგვრის ეს გახსენება. აფსუს, რომ მაშინ ეკრანი ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო საქართველოსთვის.

„ვაჟკაცები“ სხვადასხვა კუთხიდან შეეჭრნენ მოედანზე. ჯერ მცირე ასაკის ბავშვებმა ივარჯიშეს ალმებით, მერე საშუალო ასაკის ნორჩებმა — ჯოხებით. უფროსი ასაკის ბავშვები კი თავისუფალ ვარჯიშს ასრულებდნენ. მათი მოძრაობა სხვადასხვა სიბრტყეს გამოხატავდა.

ეს იყო პირველი ზეიმი. მოედნის გარს უამრავი მაყურებელი ვხვია, უმრავლესობა — ბავშვების მშობლები და ახლობლები.

... ელენე წულუკიძეს სახე ჯბრწყინავს, მის ჩვეულ სიმშვიდეს აქ განცდილი სიამე ემატება, მომეტებული კმაყოფილებით შესცქერის ყველას და მისი მარტო გამოხედვაც კი მადლიერებას გამოხატავს. ეგნატაშვილი და წულუკიძე ერთად დგანან. ახლა ესენი უტყვენი არიან. ხომ ხდება ხშირად, რომ სიტყვას ადგილი აღარა აქვს იქ, სადაც გრძნობა მომძლავრებულია, მხოლოდ გამოხედვაც კი უფრო მეტყველია.

უცხო სანახაობა მთავრდება. აი, მიწყდა სასულე ორკესტრის უკანასკნელი გამოძახილიც, რომლის რხევა ფერდობიდან მთას გადაეცემა ექოთი. სარბიელი დაიცალა. ფეხშეწყობილი დაიძრა დიდი მდინარე, წკრიალა ხმით შეირხა კოჯრის ტყეები.

დღევანდელი ზეიმის გმირებს მათი მაყურებელნი მიჰყვებიან უკან. ისინიც ფეხაწყობით მიაბიჯებენ. გასაგებია, რომ ყოველ მათგანს სურს თვითეულს მიუალერსოს, სიყვარულით შეახოს ხელი. მაგრამ არა, ამას არავინ ბედავს, თითქოს ეშინია ეს იდილია არ დაირღვეს.

ჩვენ, ადამიანები, სიამოვნებით მოვაგონებთ ხოლმე ცხოვრების უკეთეს დღეებს. ასეთ დღედ მიმაჩნია კოჯრის ტანვარჯიშული დილა ყველა მათთვის, ვინც იგი იხილა და განიცადა.

ნეტარხსენებაა ადამიანებს, ვინც დიდი ზრუნვით ეკიდება ნორჩთა აღზრდას! ასეთ ადამიანებს ეკუთვნოდა ელენე წულუკიძე, რომლის მოსაგონრადაც დაიწერა ეს სტრიქონები.

ა. კაიშაური.

ჯჯკლი ჯჯეჯეჯი

● **იალტა, 14 ოქტომბერი. უკრაინის მძლეოსანთა ჩემპიონატში ხარკოველმა ნ. მარაკინამ შუბი ტყორცნა 55,82 მეტრზე და განაახლა თავისი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული რეკორდი (იგი ჯერ კიდევ 1954 წელს დაამყარა სახელგანთქმულმა ნ. კონიავემ). 19 წლის მარაკინას შედეგი აღემატება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმას.**

● *გროზნო, 14 ოქტომბერი. IV ტურიდან მოყოლებული, აგერ უკვე ზედიზედ 8 ტურია, რაც 22 წლის ბაქოელი ვ. გაბრიელიანი ლიდერობას ინარჩუნებს სსრ კავშირის პირველობაზე რუსულ შაშში. 11 პარტიაში მან წაუგებლად მოაგროვა 7,5 ქულა. ბაქოელს 1 ქულით ჩამორჩებიან სსრ კავშირის ჩემპიონი, ლენინგრადელი დიდოსტატი, 18 წლის ვ. ლიტვინოვიჩი, ოსტატები მ. იუდინი (გორკი), ი. არუსტამოვი, ბ. სიმონიანი (ორივენი — ბაქო) და ვ. გაგარინი (მოსკოვი). ფინიშამდე 8 ტური დარჩა.*

● **პარიზი, 14 ოქტომბერი.** ევროპის მძლეოსანთა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ ბოლო აღორძად გახსმა საფრანგეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე სენ-მორის სტადიონზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება. უნგრელმა ვილმოშ ვარიაუმ ბირთვი ჰკრა 18,93 მეტრზე. ახალგაზრდა ფრანგმა სიგრძეზე მხტომელმა ჟაკ პანომ მოუგო „ჰიდილი“ კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელს, თავის სეხნია კოშარს. გამარჯვებულის შედეგია 784 სმ. ევროპის ჩემპიონმა, ფრანგმა ჟაკ მადიუბომ გადალახა 207 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებული თამასა.

● **ბუენოს-აირესი, 14 ოქტომბერი. სპორტული ხანგრძლივობის გასაოცარ მაგალითს გვიჩვენებს ფრანგი ცხენოსანი პიერ დ'ორიოლა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 46 წლის სპორტსმენი კვლავ უძლიერესი იყო დაბრკოლებათა გადალახვის ოსტატთა შეჯიბრებაში, რომელიც აქ გაიმართა მსოფლიოს VI ჩემპიონატის პროგრამით. ასპარეზობის ბოლო, ყველაზე უფრო ძნელ დღეს, როცა ლიდერები რიგრიგობით გამოდიოდნენ საკუთარ და მეტოქეთა ცხენებზე, დ'ორიოლამ უჯარიმოდ განვლო ყველა დაბრკოლება თავის „პომონზე“ და მეტოქეთა ცხენებზე ამხედრებულმა, ყველაზე ნაკლები ჯარიმა მიიღო. საბჭოთა სპორტსმენები ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ.**

● **ადის-აბება, 14 ოქტომბერი.** ავსტრიელმა სტუდენტმა ჰერბერტ ხანკმა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დედამიწის გელოსიპედით შემოუაროს, დაამთავრა 39-დღიანი ტურნე ეთიოპიაში. მან ამ ქვეყნის 8 პროვინცია გადალახა. ხანკი უკვე იყო აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ეთიოპიიდან მას განზრახული აქვს კენიაში და აღმოსავლეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში გამგზავრება. მოგზაურობის დამთავრებას ახალგაზრდა ავსტრიელი 1968 წლის ოქტომბერში ვარაუდობს მექსიკოში, როცა იქ ოლიმპიური თამაშები იქნება გაჩაღებული.

თბილისის ცენტრალურ სახადრაკო კლუბში მიმდინარეობს ოსტატობის კანდიდატთა ტურნირში I-II ადგილებზე გასულ გ. მაჭავარიანისა და ხ. ჩეჩელიანის მატჩი.

გუშინ გაიმართა ამ ორთაბრძოლის II პარტიის დამთავრება. ისევე როგორც პირველ პარტიაში, აქაც ბრძოლა ყაიმით დასრულდა. თუ მატჩიც ყაიმით (2:2) დასრულდება, მაშინ ბაქოს საგუშაგოს მიიღებს გ. მაჭავარიანი, ვინაიდან მას წინასწარ ტურნირში უკეთესი მაჩვენებელი აქვს კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით.

ჟოვიალი მხრიდან

ოლიმპიურ გამოცდილებაზე

ვაისად, 21-დან 28 იანვრამდე, ავსტრიის ქალაქი ინსბრუკი ზამთრის მორიგი უნივერსიადის სასახარეზო ქნება. შეჯიბრებები უმთავრესად ჩატარდება იმ სარბიელებზე, სადაც ამ ორი წლის წინათ მოეწყო ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

სტუდენტური თამაშების ახლახან შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა შეჯიბრების პროგრამა. ქალები იასპარეზებენ 5 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში, 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში, სწრაფდაშვებაში, სლალომში, გიგანტურ სლალომსა და ფიგურულ სრიალში; ვაჟები — 15 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში, 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში, ტრამპლინიდან ხტომაში, ჩრდილოეთის ორჭიდში, სწრაფდაშვებაში, სლალომში, გიგანტურ სლალომში, ფიგურულ სრიალში, ციგურებით რბენასა და ჰოკეიში.

გაზეთი „ფოლკსშტიმე“ აღნიშნავს: ავსტრიის სპორტული საზოგადოებრიობა ცდილობს, რომ საქმეში ჩაებას 1964 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობით დასაქმებული რაც შეიძლება ბევრი ადამიანი. მომავალი უნივერსიადის აღმასრულებელ კომიტეტს სათავეში უდგას პროფესორი ფ. ვოლფგანგი, რომელიც ინსბრუკის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივანი იყო.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია,—თქვა ვოლფგანგმა, — უნივერსიადა ოლიმპიური დონეზე ჩავატაროთ, რისთვისაც ოლიმპიური თამაშების გამოცდილებას გამოვიყენებთ. ხომ ცხადია, რომ ვერ მოძებნი ოლიმპიელთა აღზრდისა და წრთობის უკეთეს სკოლას, ვიდრე სტუდენტთა საერთაშორისო თამაშებია!“.

სერჟ რედინგის იმედები

„მსოფლიოში ამჟამად ყველაზე ღონიერ ადამიანზე — ლეონიდ ჟაბოტინსკიზე, — წერს გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ (გდრ), — უკვე ბევრი დაიწერა და თქმულა. იგი მსოფლიოს და ევროპის მომავალი ჩემპიონების უცილობელი ფავორიტია. მაგრამ რუსმა გოლიათმა არ უნდა დავივიწყოს, რომ არსებობს სპორტსმენი რედინგის გვარით, ეს ახალგაზრდა ბელგიელი უკვე ჩადგა მსოფლიოს ნიჭიერ ძალოსანთა მწყობრში“.

რედინგი ერთადერთი ბელგიელი ათლეტია, რომელმაც ასე თუ ისე სერიოზული წარმატება მოიპოვა ძალოსნობაში. მისთვის თითქოს იოლი არ უნდა ყოფილიყო მარტოდმარტო წვრთნა, მაგრამ თვით რედინგს მიაჩნია, რომ ნაყოფიერი ვარჯიშის არც თუ ისე ცუდი პირობები ჰქონდა შექმნილი. მთელ თეორიულ ლიტერატურას, აგრეთვე, გამოჩენილი მწვრთნელების რჩევას იგი საფრანგეთიდან იღებს. ამას გარდა, რედინგი გულდასმით აწვალებს ძალოსანთა მსოფლიო მიღწევებს, პირველ ყოვლისა, რუსეთისა და პოლონეთის სპორტსმენთა გამოცდილებას.

ბელგიელმა ათლეტმა პირველ შეჯიბრებაში 17 წლისამ მიიღო მონაწილეობა. მაშინ იგი 90 კილოგრამს იწონიდა და ოლიმპიურ სამჭიდში აჩვენა მოკრძალებული 230 კგ მართლაც, ამჟამად რედინგი „გასუქდა“ და 118 კილოგრამს იწონის, მაგრამ იგი „მსუბუქ მძიმეწონოსნად“ ითვლება. თუმცა, ამას ოდნავადაც არ შეუშლია ხელი ძისთვის პირადი რეკორდი 522,5 კილოგრამამდე აეყვანა.

„ჩემი მიზანია, — განაცხადა რედინგმა, — ბერლინში მედალი მოვიპოვო. საამისოდ დიდხანს და ნაყოფიერად ვემზადებოდი. ვფიქრობ, შეჯიბრებაში ვაჩვენო 550 კგ. ჟაბოტინსკისთან სერიოზული ბრძოლისთვის ეს, რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ იქნებ ამით რომელიმე მედალი მაინც დავიხურიო“.

„არაობიექტური ნაკრები“

ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის თითქმის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა გამოკითხა მკითხველები და მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები შეადგინა. ინგლისურმა გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ ეს უველაზე გვიან გააკეთა, თითქმის ამ დღეებში. გაზეთის სპორტული მიმომხილველის სიტყვებით, „დეილი ექსპრესს“ „უნდოდა ჩაეტარებინა მკითხველთა უველაზე ფართო გამოკითხვა სწორედ ჩემპიონატის დამთავრების რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა გულშემატკივრებსა და სპორტს ამ სახეობის სპეციალისტებს ვნებათა ღელვა დაუცხრებოდათ და ობიექტურად მიუდგებოდნენ წარსულ მოვლენებს“.

მაინც როგორ გამოიყურება „მსოფლიოს ნაკრები“ „დეილი ექსპრესის“ მიხედვით? უმალვე თვალში გეცემათ, რომ ამ თავისებურ გუნდში შედის სხვა ქვეყნების მხოლოდ 4 ფეხბურთელი, დანარჩენი ადგილები ინგლისელებს უკავიათ. აი, ეს ოთხეული: ბეკენბაუერი (დასავლეთ გერმანია), ბენე (უნგრეთი), ეუსებიო (პორტუგალია) და პელე (ბრაზილია). კაცმა რომ თქვას, ეს ცოტაა, მით უმეტეს, რომ ინგლისელები ფონს უფრო კოლექტიური თამაშით გავიდნენ, ვინემ ინდივიდუალური მოქმედებით.

მოგვყავს გაზეთის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა: ბენქსი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, ვილსონი, ბეკენბაუერი, მური, ბენე, ეუსებიო, ბ. ჩარლტონი, პელე, ჰერსტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სამართლიანობა ინგლისური პრესისა, რომელიც ამ სიას ღიმილით შეხვდა. გაზეთმა „პიპლმა“ პირდაპირ დაწერა: „ეს არაობიექტური ნაკრებია. თუმცა მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, არ შეიძლება არ გაითვალისწინო სხვა ქვეყნების მოთამაშეთა ოსტატობის მაღალი დონე“.

ვ. შ. გულორდავა

ტრაგიკულმა შემთხვევამ ქართველ სპორტსმენთა რიგებს გამოაკლო ჯანლონით სავსე ჭაბუკი, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შესანიშნავი ფურცლები ჩაწერა ქართული ცხენოსნობის მატიანეში.

შალვა შალვას ძე გულორდავა 1948 წელს დაიბადა. ცხენოსნობას რომ ეზიარა, 11 წლისა იყო. 1959 წლიდან იგი ზუგდიდის საცხენოსნო სკოლის ხშირი სტუმარია. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში შალვა პირველად 1961 წელს გამოვიდა და ამ პირველსავე ასპარეზობაში ჭაბუკთა შორის I ადგილი დაიკავა. 1962 წელს მოსკოვს გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა დაბრკოლებათა გადალახვაში. შემდეგ იყო სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა იაროსლავლში... აქ შალვამ II ადგილი დაიკავა. ასეთივე დიდი წარმატებით იასპარეზა მან მომდევნო წელს იმავე იაროსლავლში, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე.

1964 წელს ჭაბუკი ცხენოსნის მკერდზე პირველად აკიაფდა ოქროს მედალი: თბილისში, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ასპარეზობაში შალვამ ორჭიდში უძლიერესის სახელი მოიპოვა. კიდევ უფრო დიდი წარმატებით აღინიშნა გულორდავას გამოსვლა კოსტრომაში, სოფლის სპორტსმენთა 1965 წლის საკავშირო პირველობაზე, სადაც ქართველმა მხედარმა ჩემპიონობა დაიბაკუთრა დაბრკოლებათა გადალახვასა და ორჭიდში. იმავე წელს შალვამ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა სამჭიდში და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. 1964 წლიდან იგი სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრია.

ასეთი წარმატებები 18 წლის ასაკში არც ისე ხშირია სამამულო სპორტის ისტორიაში. წლეულს შალვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ნიჭიერ ჭაბუკს კიდევ დიდი სპორტული გზა ჰქონდა გასავლელი... სულ ახლახან გუდაუთში საქართველოს პირველობაზე მან ყველა ჩამოიტოვა სამანეყო სვლაში და ჩემპიონი გახდა. ათიოდე წუთი სიხარულისა ბოლო გამოდგა...

ძნელია შეურიგდე აზრს, რომ იგი კვლავ ველარ გამოვა სარბიელზე და ცხენოსნობის მოყვარულთ მაღალი ოსტატობით ვერ გაუვახარებს.

ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გ. გოროხოვას მექსიკური ტრაღიცია

„სპორტის II საერთაშორისო კვირეულზე“

მეხიკო, 14 ოქტომბერი. მსოფლიოს ქუხ-ჩემპიონის, მოსკოველი გ. გოროხოვას რაპირა მეხიკოშიც „დაუნდობელი“ გამოდგა. საბჭოთა მოფარიკავემ ისევე, როგორც შარშანდელ „სპორტის საერთაშორისო კვირეულზე“, ამჯერადაც დამაჯერებლად მოიგო ტურნირი და ამით სათავე დაუდო ჩვენი სპორტსმენების წარმატებას. გოროხოვამ დაუმარცხებლად ჩაატარა ფინალური ტურნირი, — ზედიზედ 7 გამარჯვება. მოიპოვა. საპატიო კვარცხლბეკზე მის გვერდით დადგა მსოფლიო ჩემპიონი, მინსკელი ტ. სამუსენკო (6 გამარჯვება). III ადგილი პოლონელმა მოფარიკავემ ე. ციმერმანმა დაისაკუთრა (4 მოგება).

საერთო ყურადღების ცენტრში იყო ტანმოვარჯიშე ქალთა გამოსვლაც. ერთმანეთის პირისპირ კვლავ აღმოჩნდნენ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია), და ოქროს 3 მედლის მფლობელი, 17 წლის ლენინგრადელი ნ. კუჩინსკაია.

ჩასლავსკა იმ საღამოს შეუდარებელი იყო. მრავალჯერადის ოთხივე სახეობაში მან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა და საერთო ჯამში 39,15 ქულა დააგროვა. საუკეთესო შედეგები აჩვენა კუჩინსკაიამაც, ხოლო ნაირსიმაღლის ორძეულზე იგი „მრისხანე“ ჩეხოსლოვაკიელს გაუთანაბრდა კიდეც: ორივემ ერთნაირი შეფასება მიიღო — 9,8 ქულა. საბოლოოდ კუჩინსკაია II ადგილზე გავიდა — 38,70. III ადგილი ყველასთვის მოულოდნელად დაიკავა ფრანგმა ე. ლეტურნერმა — 37,90 ქულა.

მაყურებლები განაცვიფრა ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ნ. მოროზოვამ, რომელმაც უნგრეთის ჩემპიონ ა. დუკასთან ერთად IV-V ადგილები გაიყო—37,20. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ლ. პეტრიკი მხოლოდ VII ადგილს (36,40) დასჯერდა.

აქ ყველაზე „ხალხმრავალია“ მოცურავეთა და წყალში მხტომელთა შეჯიბრება. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის აუზში 16 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი ასპარეზობს. პირველმა სტარტებმა ცხადყო, რომ მაღალმთიან პირობებშიც ფინიშთან ყველაზე ადრე ის მიდის, ვინც სხვა შეჯიბრებებშიც უძლიერესია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქაური შედეგები ჯერ კიდევ ჩამორჩება პირად და მსოფლიო რეკორდებს.

ქერათმიანმა ფრანგმა კრისტინ კარონმა მოიგო 100 მეტრზე ზურგზე ცურვა — 1.09,9. თავისუფალი სტილით ცურვაში ამავე დისტანციაზე ყველას აჯობა ამერიკელმა ჩარლზ ხიკოკსმა — 56,1. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ბადალი არ ჰყავდა ჰოლანდიელ ნელ ბოსს — 1.09,7. ჰოლანდიელი სპორტსმენები იმდენად გაახარა თანამემამულის წარმატებამ, რომ გამარჯვებულის მწვრთნელს, ტრადიციის თანახმად, აუზში უკრეს თავი.

საბჭოთა მოცურავეები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ.

მეხიკო, 15 ოქტომბერი. ამ დღეს „სპორტის საერთაშორისო კვირეულის“ მთავარი გმირი მოსკოველი ტანმოვარჯიშე მ. ვორონინი აღმოჩნდა. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ოქროს 5 მედალი მოიგო ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში. მეექვსე მედალიც საბჭოთა ტანმოვარჯიშეს, ტაშკენტელ ს. დიომიდოვს ერგო (ღერძზე).

ტრამპლინიდან წყალში მხტომელთა ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენები ვ. ბაკლანოვა და ე. ანოხინა თავიდან დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ პირველობა დაუთმეს ამერიკელ ს. გოსიკს. ბაკლანოვა II იყო, ხოლო ანოხინა — IV. ამ სახეობაში ვაჟთა შორისაც ამერიკელმა სპორტსმენმა ბ. ურაიტსონმა გაიმარჯვა. II ადგილზეც მისი თანამემამულე კ. რასელია. ევროპის ჩემპიონი — მოსკოველი მ. საფონოვი III ადგილს დასჯერდა.

140 კილომეტრზე რბოლა მოიგო ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა რ. ვაგტმანსმა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესონი იყვნენ ა. დოხლიაკოვი (VI ადგილი) და ი. რაიალა (VIII).

ოქროს მეორე მედალი გაითამაშეს მოფარიკავეებმა. რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობაში გაიმარჯვა ფრანგმა კ. ნოელმა. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონმა გ. სვეშნიკოვმა (სსრ კავშირი), ხოლო „ბრინჯაო“ — უნგრელმა ე. კამუტიმ.

საჭელი ვარჯიშისა

„ჩვენ გალერიებს გვყავს“

იტალიის გაზეთი „უნიტა“ ეხება იქაურ ფეხბურთში გახშირებულ უხეშობას და აღნიშნავს: „ბოლო ხანებში უხეშობის შემთხვევებმა მკვეთრად იმატა. რისი ბრალია ეს? შესაძლოა ბოლო მსოფლიო პირველობისა? ვინც ინგლისში გამარჯვებულთა შორისაა, ყველა ფიზიკურად ძლიერი, ათლეტურ თამაშს ჩვეული ფეხბურთელია და მაღალი საბრძოლო სულისკვეთებაც ახასიათებს. იტალიის ნაკრები კი სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს. პირველებს შეგვიძლია მებრძოლები, ხოლო იტალიელებს — ბალერინების დასი ვუწოდოთ. ახლა იტალიელმა ფეხბურთელებმა მოინდომეს გერმანელი, ინგლისელი და სხვა ჭეშმარიტი ფეხბურთელების მიბაძვა, მაგრამ მათ საამისოდ არ გააჩნიათ საკმარისი ფიზიკური და მორალური შესაძლებლობები. იტალიელთა ათლეტიზმი სწორედ იქცევა უხეშობად, ვინაიდან მათს უმრავლესობას არც ესმის რა არის ათლეტური ფეხბურთი. სხვა ქვეყნების ფეხბურთელები მინდორზე უშიშარი და ბრძოლისუნარიანები არიან, ჩვენები კი ყოველ შეტაკებას მუშტებითა და უხეშობით პასუხობენ...

როგორ ვუშველოთ საქმეს? როგორ შევაგნებინოთ ჩვენს ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, რომ უხეშობასა და ათლეტიზმს შორის დიდი განსხვავებაა? ბალერინები, რომლებიც მინდორზე არ იბრძვიან, ჩვენ არ გვჭირდება“.

ჯაკლი ამბები

- ბუდაპეშტი. უცხაური ამბავი შეემთხვა ფეხბურთელ ქ. ჰორმოშეკს. იგი ამჟამად 30 წლისაა, ფეხბურთს კი თავი 4 წლის წინ დაანება. მაშინ იგი 176 სმ სიმაღლისა იყო და 67 კგ-ს იწონიდა. ახლა ჰორმოშეკი 28 სანტიმეტრით გაიზარდა და 145 კგ-ს იწონის. ექიმები მას ისევ ფეხბურთის თამაშს ურჩევენ.
- ბუენოს-აირესი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას თითქმის მთელი წლის განმავლობაში არ ჰყოლია პრეზიდენტი. ახლა ამ თანამდებობაზე არჩეულ იქნა ე. სუარესი.
- გლაზგო. შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დაუშვას მეკარის შეცვლა ჩემპიონატის თამაშებში (მთელი მატჩის მანძილზე). გუნდებს ნება ეძლევათ შეცვალონ მინდვრის მოთამაშეც, ოღონდ ეს უნდა მოხდეს პირველ ტაიმში.
- ბუენოს-აირესი. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადება მისცა უეფა-ს მოეწყოს ორი მატჩი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის (პირველი მატჩი — 7 დეკემბერს სანტ-იაგოში, ხოლო მეორე — 10 დეკემბერს ბუენოს-აირესში). ამ წინადადებას ევროპაში მალე განიხილავენ.
- მონრეალი. კანადის ფეხბურთის ფედერაციამ მიიწვია ინგლისის, სსრ კავშირის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც უნდა დაიწყოს გასული, 31 მაისს.
- რიო-დე-ჟანეირო. მსოფლიოში უდიდეს—„მარაკანას“ სტადიონს სახელი შეეცვალა. ამიერიდან მას ერქმევა „მარიო ფილჰოს სტადიონი“. მარიო ფილჰო ბრაზილიის „ჟორნალ დოს სპორტსის“ მთავარი რედაქტორი იყო და ამას წინათ გარდაიცვალა.

ფეხბურთი

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის სასურათო აუზის დირექცია აცხადებს უველა ასაკის მსურველთა მიღებას ცურვის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ დილის, შუადღისა და საღამოს საათებში სამეცადინო აბონემენტები.

აბონემენტების გაყიდვა წარმოებს ყოველდღე, 9-დან 15 საათამდე. აუზის მისამართია: ი. ჭავჭავაძის პრ., № 49-ბ.

აუზის დირექცია.

ხვალ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მუდმივმოქმედ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციისა და რესპუბლიკის სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს ინტერნაციონალური აღზრდის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 16 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

სპორტული ტანვარჯიში. ცენტრალური სპორტსკოლის ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 6). 16-20 ოქტომბერი. საქართველოს ზონალური სპარტაკიადა და პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ფრენბურთი. სპორტნაგებობათა სამმართველოს მოედნები (პლეხანოვის პრ. № 117). 16-25 ოქტომბერი. თბილისის პირველობა I ჯგუფის გუნდებს შორის. დასაწყისი 16 ს., კვირას — 11 ს.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ს/ს 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენ-ნ ქ. № 14.

ფე 12823